მალხაზ მაცაბერიძე *

ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა”)

აბსტრაქტი

სტატიაში ჟურნალ „ქართლოსის“ (1937-1939) პუბლიკაციების და პარტიის პროგრამის (1937) საფუძველზე განხილულია ემიგრანტული პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ფაშისტური დარაზმულობის“ იდეოლოგია, რომელიც ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის სახეობას წარმოადგენდა. ქართველ ემიგრანტთა ჯგუფი (შ. მაღლაკელიძე, ვ. ნოზაძე, კ. სალია, ნ. დადიანი და სხვები) შეეცადა საქართველოს განთავისუფლების კონკრეტული გზა ეპოვნა ფაშიზმის საფუძველზე, რომელიც 1930-იანი წლების მეორე ნახევარში მათ მიერ წარმატებულ იდეოლოგიად და პოლიტიკურ პროგრამად მიიჩნეოდა. მათი აზრით, ფაშიზმის ქართული ვარიანტი გააერთიანებდა ერს, დაუპირისპირდებოდა კომუნისტურ რეჟიმს და ფაშისტური ქვეყნების დახმარებით თავისუფლებას მოუტანდა საქართველოს.

ქართული ფაშისტური დარაზმულობა თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში მხოლოდ თეორიული მიმდინარეობა იყო, რომელსაც ორგანიზაციის სახით არ უთანამშრომლია არც იტალიელ ფაშისტებთან და არც გერმანელ ნაცისტებთან. 1939 წელს რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის გაფორმების შემდეგ, ჟურნალ “ქართლოსის” გამოცემა შეწყდა და ქართული ფაშისტური დარაზმუ-

---

* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ლობაც დაიშალა. ფაშისტური რეჟიმების კრახმა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის მხილებამ ფაშიზმის როგორც იდეოლოგიის დისკრედიტაცია და დაგმობა გამოიწვია. შესაბამისად, ქართული ინტეგრარული ნაციონალიზმის ამ ფორმას შემდგომში განვითარება არ მოჰყოლია. ადამიანები, რომლებიც ქართულ ფაშისტურ დარაზმულობაში შედიოდნენ საქართველოს პატრიოტები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ქართული ემიგრაცია, ინტეგრალური ნაციონალიზმი, ფაშიზმი, ქართული ფაშისტური დარაზმულობა.

შესავალი

ქართული ნაციონალიზმის კვლევა ერთ-ერთ აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს. 1920-1930-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში გამოიკვეთა ნაციონალიზმის მიმართულება, რომელსაც ინტეგრალური ნაციონალიზმი შეიძლება ვუწოდოთ. სტატიაში განხილულია ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ერთ-ერთი მიმართულება – "საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის" პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმა.

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში გახდა სამეცნიერო შესწავლის საგანი და მის შესახებ ლიტერატურა რამდენიმე ნაშრომით შემოიფარგლება. ესაა გურამ შარაძის[1], რუსუდან დაუშვილის[2], ოთარ ნიკოლეიშვილის[3]

[1] გურამ შარაძე. ჟურნალი "ქართლოსი" – ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.8, თბილისი, 2005, გვ.6-397

[2] რუსუდან დაუშვილი. ქართული ფაშისტური დარაზმულობა – "მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას" (მესამე სამეცნიერო კონფერენცია). თბილისი, "ლომისი", 1999, გვ.138-146; ასევე: ქართული

და შორენა მურუსიძის[4] სტატიები. დასახელებულ ნაშრომებში წარმოდგენილია საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის ისტორიის საკითხები. წინამდებარე სტატიაში განხილულია ამ ორგანიზაციის იდეოლოგია და პოლიტიკური დოქტრინა.

ინტეგრალური ნაციონალიზმის შესახებ

ინტეგრალური ნაციონალიზმი (ფრანგული nationalism integrale-დან) ერს ორგანულ მთლიანობად წარმოადგენს და მოითხოვს პიროვნების უპირობო მორჩილებას თავისი ერის ინტერესებისადმი. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი კარლტონ ჰეიზი (1882-1964) ინტეგრალური ნაციონალიზმის სათავეებს ხედავდა ოგიუსტ კონტის (1798-1857) და იპოლიტ ტენის (1828-1893) შეხედულებებში.

ინტეგრალურ ნაციონალიზმს ახასიათებს არალიბერალური, ტოტალიტარული მიდგომა საზოგადოებრივი წესებისადმი: მისი იდეოლოგების აზრით, ყველა მოქალაქე უნდა ემორჩილებოდეს ერთსა და იმავე წესებს და იზიარებდეს საერთო ენთუზიაზმს, ხოლო ადამიანის ყველა პირადი თავისუფლება უნდა ექვემდებარებო-

ეროვნული დარაზმულობები – წიგნში: რუსუდან დაუშვილი. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში. თბილისი, რაეო, 2007, გვ. 109-124

[3] ოთარ ნიკოლეიშვილი. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა – ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია – წიგნში: ოთარ ნიკოლეიშვილი. ნარკვევები მსოფლიოს ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქუთაისი. ქუთაისის უნტის გამ-ბა, 2005, გვ.41-53; ოთარ ნიკოლეიშვილი. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა – ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია – საქართველოს უნივერსიტეტის მე-2 ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010, გვ.. 327-339.

[4] შორენა მურუსიძე. საქართველოს მონარქო-ფაშისტური დარაზმულობა (1937-1939 წ.წ.) - მეისტორიე. სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი პროფ. გელა (გიორგი) საითიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბ., „არტანუჯი“, 2019, გვ.218-223

დეს ნაციონალიზმის იდეას. ინტეგრალური ნაციონალიზმი უარყოფდა და მოძველებულად აცხადებდა ლიბერალიზმის პრინციპებს, მოუწოდებდა ეროვნული ინტერესების გულისთვის სწრაფი, გაბედული და გადამწყვეტი მოქმედებისაკენ.

ინტეგრალური ნაციონალიზმის პრინციპები პირველებმა მკაფიოდ განსაზღვრეს შარლ მორასმა (1868-1952) და მორის ბარესმა (1862-1923). 1899 წელს მათ დააფუძნეს მოძრაობა «აქსიონ ფრანსეზ». მოძრაობის ლოზუნგი იყო «საფრანგეთი ფრანგებისათვის». შარლ მორასი აცხადებდა: «ნამდვილი ნაციონალისტი თავის ქვეყანას ყველაზე მაღლა აყენებს».

ინტეგრალური ნაციონალიზმი შეიძლება გამოვლინდეს რადიკალური ექსტრემიზმის, მემარჯვენე იდეოლოგიის, აგრესიულ-ექსპანსიური მილიტარიზმის ფორმებით. ინტეგრალური ნაციონალიზმი ზოგჯერ უკავშირდებოდა ფაშიზმს და ნაციზმს. პიტერ ალტერი თავის წიგნში «ნაციონალიზმი» აღნიშნავდა, რომ ფაშისტური იტალია და ნაცისტური გერმანია წარმოადგენდნენ ინტეგრალური ნაციონალიზმის ნიმუშებს. თუმცა ინტეგრალური ნაციონალიზმი არ იგივდება მასთან. ის შეიძლება გამოვლინდეს რადიკალური ექსტრემიზმის, მემარჯვენე იდეოლოგიის და აგრესიულ-ექსტრემისტული მილიტარიზმის ფორმით. კარლტონ ჰეიზი თვლიდა, რომ ინტეგრალური ნაციონალიზმის თავისებური, მესიანისტური ვარიანტი ჩამოყალიბდა რუსეთში 1917 წლის რევოლუციის პერიოდში, რომელიც შემდეგ ტრანსფორმირდა საბჭოთა კავშირის ნაციონალიზმად. აქ იგულისხმება ბოლშევიზმი, რომელიც რუსული ველიკოდერჟავული ნაციონალიზმის ფორმად იქცა.

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის ჩამოყალიბება

“საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა” 1937 წლის იანვრის ბოლოს პარიზში შეიქმნა ორგანიზაცია “თეთრი გიორგის” სა-

ფუძველზე და მასში მომხდარი გათიშვის შედეგად.[5] ახალი ორგანიზაციის ხელმძღვანელი (“მეთაური”) იყო შალვა მაღლაკელიძე. ორგანიზაციის ბეჭდურ ორგანოდ გამოცხადდა ჟურნალი “ქართლოსი”. ორგანიზაციის მეთაურის დადგენილებაში ხაზი გაესვა, რომ “1936 წ. ოქტომბრის 18-ს “თეთრი გიორგის” მეოთხე ყრილობის მიერ მიღებულ და დადასტურებული “დებულებანი” რჩებიან პროგრამად ბრძოლისა და მოღვაწეობისათვის “საქართველოს ფაშისტური დარაზმულობისა”.[6] ინტეგრარული ნაციონალიზმის პოზიციაზე იდგა “თეთრი გიორგიც”, ოღონდ ის ფაშიზმს თავის იდეოლოგიად არ აცხადებდა.

ქართული ფაშისტური დარაზმულობის იდეოლოგიის და პოლიტიკური პლატფორმის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ორგანიზაციის პროგრამის („დებულებანი მოღვაწეობის და ბრძოლისათვის“, 1937 წ.), ჟურნალ “ქართლოსის” პუბლიკაციების მიხედვით, რომელიც 1937-1939 წლებში გამოდიოდა.

---

[5] 1924 წ. შექმნილი ეროვნული ერთობის დარაზმულობა “თეთრი გიორგი“ იდეოლოგიურად მუსოლინის ფაშისტური მოძრაობის გავლენას განიცდიდა. 1937 წ. განხეთქილების მიზეზი იყო დავა საქართველოს მომავალი სახელმწიფო მოწყობის შესახებ. ორგანიზაციაში ახლად შესული გენერალი შალვა მაღლაკელიძე მიიჩნევდა, რომ განთავისუფლების შემდეგ საქართველოში მონარქიული წყობილება უნდა დამყარებულიყო. შალვა მაღლაკელიძემ შეძლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობიდან ლეო კერესელიძე გადაეყენებინა და დარაზმულობის მეთაური თავად გამხდარიყო, თუმ,ცა მოკლე ხნით. მიხაკო წერეთლის დიდი ავტორიტეტის წყალობით ლეო კერესელიძე კვლავ დაბრუნდა „თეთრი გიორგის“ ხელმძრვანელად. ამის გამო ორგანიზაციის რიგები დატოვეს შალვა მაღლაკელიძემ, კალისტრატე სალიამ, ვიქტორ ნოზაძემ და „ქართული ფაშისტური დარაზმულობა“ დააარსეს.

[6] მეთაურის დადგენილებანი – “ქართლოსი”, 1937, N 1, გვ.1

რამ განაპირობა დარაზმულობის იდეოლოგიური არჩევანი

ქართული ფაშისტური დარაზმულობის იდეოლოგიის თაობაზე ვიქტორ ნოზაძე პირდაპირ აღნიშნავდა: "ჩვენ ვართ ინტეგრარული ნაციონალიზმის მქადაგებელნი და დამცველნი".[7] რაც შეეხება ინტეგრალური ნაციონალიზმის კონკრეტული ფორმის არჩევას ეს რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული.

პირველი. 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ინტეგრარული ნაციონალიზმის ყველაზე გავრცელებული და წარმატებული ფორმა (ასე ჩანდა მაშინ) იყო ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი. რაც შეეხება კონკრეტულად ფაშიზმზე არჩევანის შეჩერებას, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ფაშიზმი პირველ რიგში აყენებდა ერს, ხოლო ნაციონალ-სოციალიზმი კი პარტიას. "ნაციონალ-სოციალიზმი არის აღზრდა პარტიისათვის, - ფაშიზმი არის აღზრდა ერისათვის".[8]

ქართული ფაშისტური დარაზმულობის უმთავრესი ლოზუნგი (მათი ტერმინოლოგიით "ყიჟინა") იყო "საქართველო უწინარეს ყოვლისა". მათი განცხადებით "საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. სიტყვისაგან: - საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდიონარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც".

მეორე. ქართული ემიგრაციისათვის უმთავრესი ამოცანა კომუნისტური რეჟიმისაგან საქართველოს განთავისუფლება იყო. იმდროინდელ მსოფლიოში კომუნისტების წინააღმდეგ მებრძოლ ყველაზე რადიკალურ ძალად კი ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი წარმოდგენდა. როგორც კ. სალია აღნიშნავდა "ერთა გადარჩენისა და ცივილიზაციის დამხსნელი როლი ფაშიზმმა, ნაციონალ-სოცი-

[7] ვიკ. ნოზაძე. ჩვენს დებულებათა გამო – "ქართლოსი", 1937, N 1, გვ.2

[8] გვიდო ბორტოლოტო. ფაშიზმი და ერი – "ქართლოსი", 1938, N 13-15, გვ.204-205

ალიზმმა იკისრა, წითელი სენის წინააღმდეგ სხვა ძალა არ არსებობს".[9]

უნდა ითქვას, რომ როგორც კი 1939 წელს რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი გაფორმდა ჟურნალ "ქართლოსის" გამოცემა შეწყდა და ქართული ფაშისტური დარაზმულობაც დაიშალა.

მესამე. ქართული ფაშისტური დარაზმულობის წევრები აღნიშნავდნენ, რომ ფაშიზმს კარგად იცნობდნენ საბჭოთა კავშირშიც და მის პოპულარიზაციას ძალაუნებურად ხელს უწყობდნენ კომუნისტები, რადგანაც ყველა კომუნისტური გაზეთი ლანძღავდა ფაშიზმს და "ხალხი აშკარად ხედავს კომუნიზმის მოპირდაპირე ძალად ფაშიზმს და ... ხსნას მისგან მოელიან".

მეოთხე. ქართულ ფაშისტური დარაზმულობას მოსწონდა ფაშიზმის მიერ აქცენტის გაკეთება ერის ერთიანობაზე. მათთვის ფაშიზმი პირველ რიგში ერის ერთიანობას ნიშნავდა, ამიტომ "ქართლოსში" გამოქვეყნებულ სტატიებში ხშირად ვხვდებით ფრაზას – ფაშიზმი ანუ ეროვნული ერთობა. მათთვის ფაშიზმი ნიშნავდა პარტიული დაქსაქსულობისა და პარტიული დაპირისპირებათა დაძლევასაც. "ფაშიზმი ანუ ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი და ზეკლასობრივი.", - განმარტებული იყო დარაზმულობის ერთ-ერთ ლოზუნგში. ეს ლოზუნგები კი "ქართლოსის" თითქმის ყველა ნომერში მეორდებოდა.

მეხუთე. ქართული ფაშისტური დარაზმულობის სახელის არჩევა იმანაც განაპირობა, რომ იზიარებდნენ ფაშიზმის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს და აღარ იყო საჭირო დამატებითი განმარტებების გაკეთება დარაზმულობის იდეურ-პოლიტიკური პლატფორმის თაობაზე. როგორც კ. სალია აღნიშნავდა, "როდესაც ჩვენ

[9] კ. სალია. მეოცე საუკუნის იდეური მიმართულებანი: 1.ეროვნული იდეალი – "ქართლოსი", 1937, N 2-3, გვ.7-9

ვამბობთ, რომ ვეკუთვნით საქართველოს ფაშისტურ დარაზმულობას, აქ თვით სახელწოდებაში ყველასთვის გასაგებად მოცემულია მოძრაობის შინაარსი, რადგან ფაშიზმი დღეს მსოფლიოში ცნობილი, სრულიად ჩამოყალიბებული პოლიტიკური სოციალური მოძღვრებაა".

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ 1937-1939 წლებში, როდესაც არსებობდა ქართული ფაშისტური დარაზმულობა, ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი ისე დისკრედიტირებული არ იყო, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, მით უმეტეს რომ ქართველი ემიგრანტები მას უპირისპირებდნენ კომუნისტურ რეჟიმს, რომლის სისხლიანი ხასიათი ეჭვს არ იწვევდა.

ფაშიზმის როგორც იდეოლოგიისა და პოლიტიკური დოქტრინის მიღება შესაძლებლობას აძლევდათ მიეღოთ და გაეზიარებინათ ის თეორიული ნაშრომები, რომელსაც მისი იტალიელი და გერმანელი მიმდევრები ქმნიდნენ. ჟურნალ "ქართლოსში" გამოქვეყნებულია ასეთი რამდენიმე ნაშრომის ქართული თარგმანი.

ფაშიზმის "ქართული სახის" ძიება

ფაშიზმის იდეოლოგიისა და დოქტრინის მიღებასთან ერთად, ქართული ფაშისტური დარაზმულობის წევრები ხაზს უსვავდნენ, რომ ეს არ ნიშნავდა იტალიური ფაშიზმის უცვლელ გადმოტანას საქართველოში. ისინი საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ არ მოიქცეოდნენ მენშევიკების ან ბოლშევიკების მსგავსად, რომლებიც "ერის ცხოვრებას მარქსისტულ პროგრამას უქვემდებარებენ".

მათი განცხადებით საქართველოში ფაშიზმს უნდა მისცემოდა ეროვნული სახე. ის უნდა დამყარებოდა ქართველი ერის საუკეთესო ტრადიციებს და იდეალებს, ერის ისტორიულ-სულიერ და

მატერიალურ თვისებებს.[10] ნ. დადიანი აღნიშნავდა: „ჩვენი ფაშიზმია ქართული ფაშიზმი, შეგუებული ქართველი ერის წარსულ, ისტორიულ ცხოვრებასთან, მის ეროვნულ ტრადიციებთან და რასიულ თვისებებთან“.[11]

ქართული ფაშისტური დარაზმულობის ეროვნულ საფუძველზე დამყარების განაცხადს ხაზს უსვავდა ჟურნალის სახელწოდება “ქართლოსი”, რიმელიც ქართული საისტორიო ტრადიციათა თანახმად ქართველთა მამამთავარი იყო. ქართლოსი მათთვის ყოველივე ქართულის სიმბოლო იყო. ამის თაობაზე შ. მაღლაკელიძე წერდა: “ესაა სიმბოლო ქართულის წარმოშობისა; ესაა სიმბოლო ქართულის სისხლისა და კულტურისა; ესაა სიმბოლო ქართულის რასისა და მისი სიმტკიცე-მარადისობისა; ესაა სიმბოლო ქართვლის სიდიადისა და იმ როლისა, რომელიც გეოპოლიტიკურად ძველს ივერიას – იბერიას – საქართველოს მინიჭებული აქვს; ესაა სიმბოლო იმ როლისა, რომელიც ჩვენს ერს დაეკისრა მცირე აზიის ასპარეზზე, სადაც მას ძლიერების ხანაში დიდი ადგილი ეკავა”.[12] (გვ.26).

ქართული ფაშისტური დარაზმულობა ქართულ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნებიდან ემყარებოდა და იღებდა ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას. ხაზს უსვამდნენ მისი პოლიტიკური პროგრამის მთავარ დებულებას – “ეროვნული ბრძოლისათვის ერთობა, ყველას ძალის ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა”. როგორც ვიკტორ ნოზაძე აღნიშნავდა, “ესაა მთავარი სამოქმედო პროგრამა და ბრძოლის

[10] კ. სალია. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა - „ქართლოსი“, 1937, N 1, გვ.4

[11] ნ. დადიანი. ვინ იქნება საქართველოს მეფე? – „ქართლოსი“, 1937, N 6-7, გვ.84

[12] შ. მაღლაკელიძე. ქართლოსი – “ქართლოსი”, 1937 N 1, გვ.2

საგანი დღეს". ვიქტორ ნოზაძის თქმით, ილიას სახელი არის ეროვ-ნული აღდგენისათვის ბრძოლის დროშა.[13]

როგორ ესახებოდათ საქართველოს განთავისუფლება

ქართული ფაშისტური დარაზმულობა თავის პირველ უახ-ლოეს ამოცანად მიიჩნევდა საქართველოს განთავისუფლებას რუსე-თის ბატონობისაგან. ცხადი იყო ისიც, რომ ამას საქართველო საკუ-თარი ძალებით ვერ მოახერხებდა და მოკავშირე უნდა ეპოვნა „იმ საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც რუსეთის გარშემო იქმნება". ეს ძალა 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ნაციონალ-სოცი-ალიზმი და ფაშიზმი იყო. როგორც დარაზმულობის საპროგრამო დებულებებში იყო აღნიშნული, ბოლშევიზმს ევროპაში ყველაზე თანმიმდევრულად სწორედ ეს ორი ძალა უპირისპირდებოდა. ამიტომ, ქართულ ფაშისტურ დარაზმულობაში მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვდა ამ ძალებთან კავშირს. თუმცა, კომუნისტური რეჟიმის დაცემა ესახებოდათ არა მარტო „გარედან დარტყმით", არამედ „შინაგან აფეთქებითაც".

განთავისუფლების შემდეგ საქართველოს წინაშე დგებოდა ერთიანობის მიღწევის ამოცანა, რადგანაც უნდა დაებრუნებინათ „რუსეთის მიერ გაჩუქებული თუ წანართმევი მიწა-წყალი" და სა-ქართველო „კვლავ ჩასდგება თავის საკუთარ, ეროვნულ, ისტო-რიულ საზღვრებში".[14] თუ ეს მოხდებოდა მალევე დამოუკიდებ-ლობის აღდგენის შემდეგ, მაშინ „დიად მიზანთა ერთი უახლოესი მიღწეული იქნება", მაგრამ თუკი ეს მალე ვერ მოხერხდებოდა, „საქართველოს მთლიანი აღდგენა უნდა იყოს ის მუდმივი წადილი და სწრაფვა, რომელიც აცოცხლებს ერს, ჰბერავს სულს, იწვევს დაჭიმული მუშაობისაკენ, ბრძოლისაკენ..."

[13] ვიკ. ნოზაძე. ილია ჭავჭავაძე – "ქართლოსი", 1937, N 8, გვ.106-107
[14] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.111

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა გმობდა რუსეთ-თურქეთს შორის 1921 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლიც ძალითაც თურქეთს გადაეცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. ამასთან დაკავშირებით გმობდნებნ რუსულ ენაზე გამომავალი ჟურნალ „კავკაზის“ პოზიციას, რომლის თანახმად საქართველო უნდა შერიგებოდა ამ ტერიტორიულ დანაკარგს და ბათუმის ოლქსაც „ახალი დათმობებისა და საეჭვო კომბინაციების საგნად აცხადებდა“.[15]

ამასთან დაკავშირებით ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა: „ტერიტორია არის ერის შემქმნელი და შემნახველი ერთი ელემენტთაგანი და ფუძე ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობისა“.[16]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ გადავიდა ყველა მისი მეზობელი სახელმწიფოს ხელში. ამდენად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის აზრით საქართველოს მჭიდრო კავშირი უნდა დაემყარებინა კავკასიის ხალხებთან. დარაზმულობის საპროგრამო დებულებები მიუთითებდა: „დღეს აღარავისათვის სადავო აღარაა, რომ საქართველო და კავკასია ერთი მთლიანობაა, როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად. როგორც ძველი, ისე ახალი ისტორია კავკასიისა ამას ღაღადებს და აქედან გამომდინარეობს სათანადო დასკვნაც: აუცილებელია კავკასიის ერების მჭიდრო კავშირი“.[17]

---

[15] რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის - „ქართლოსი“, 1938 N 9-10, გვ.127

[16] ვ. ნოზაძე. ჟურნალი „კავკაზი“ და კავკასია-საქართველო - „ქართლოსი“, 1938, N 9-10, გვ.125

[17] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.110-111

კავკასიის ხალხების ერთობას სპეციალურად განიხილავდა შ. მაღლაკელიძე 1939 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში და აღნიშნავდა, რომ კავკასიის ხალხები - საქართველო, „მთა“ (ჩრდილოთ კავკასია), სომხეთი და აზერბაიჯანი ერთიანი არიან რუსეთისგან განთავისუფლების საკითხში, მაგრამ „განსხვავება იწყება კავკასიის ორიენტაციის საკითხში, კავკასიის მოწყობის საქმეში“. კერძოდ, კავკასიის მუსლიმთა ნაწილი თურქულ ორიენტაციას იღებდა. მისი თქმით, „ეს სავალალო ვითარებაა, რადგან ასეთი მისწრაფებით კავკასიის მთლიანობას საფუძველი ეშლება და კავკასიაში თურქული პოლიტიკის ბატონობას გზა ეხსნება“. შ. მაღლაკელიძე აღნიშნავდა, რომ „კავკასიის პოლიტიკური და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის“ პოლიტიკა ესაა „კავკასიის ორიენტაცია“ და ამას იზიარებენ ქართველები და სომხები.[18]

შ. მაღლაკელიძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ „ქართულ ფაშისტურ დარაზმულობას“ ჰქონდა ფილიალი „ახალგაზრდა სომეხ-ქართველთა უნიონი“, რომელსაც ფაშისტურ კავშირს უწოდებს.[19] შეიძლება ეს განვიხილოთ როგორც კავკასიის ხალხების კავშირის უზრუნველყოფისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს აღარ უნდა გაემეორებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეცდომა და გადაჭრით უარი უნდა ეთქვათ ნეიტრალიტეტზე. მაშინ ნეიტრალიტეტის გამოცხადებით საქართველოს „ყოველგვარ გაქანებისა და დასაყრდენი წერტილის შექმნის საშუალება მოუსპეს“.[20]

დამოუკიდებელი საქართველო შეეცდებოდა „მოკავშირისა და მეგობრის“ მოძებნას. საქართველოს მომავალი მოკავშირეებიდან

[18] შ. მაღლაკელიძე. კავკასიის ერების ერთობის საკითხისათვის - „ქართლოსი“, 1939, N 16-18, გვ.234

[19] შ. მაღლაკელიძე. მოგონებები. თბ., 2012, გვ.180

[20] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.108

რუსეთი იმთავითვე გამორიცხული იყო, რადგანაც, როგორც საპროგრამო დებულებებში იყო ნათქვამი „საქართველოს დღეს მწარე გამოცდილებით იცის, რომ რუსეთი, როგორი წეს-წყობილებისაც არ უნდა იყოს იგი, მისი დაუძინებელი მტერია“.[21]

წარსულის მწარე გაკვეთილებიდან გამომდინარე, კატეგორიულად გამოირიცხებოდა რეგულარული ჯარის გვერდით მილიციური ტიპის გვარდიის არსებობა. ახალ საქართველოში მხოლოდ ერთიანი ჯარი იარსებებდა, „აღზრდილი და გამობრძმედილი ეროვნული სულით“.[22]

ეროვნული ერთობა: ძველი და ახალი

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შექმნილი ქართული ეროვნული სახელმწიფო უნდა დამყარებოდა ეროვნულ ერთობას. სწორედ ეროვნულ ერთობას ემყარებოდა „ოქროს ხანა“ საქართველოს ისტორიაში. დარაზმულობის საპროგრამო დებულებებში ჩამოყალიბებულია XII საუკუნის ეროვნული ერთობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები: „ერთობილი საქართველო, ერთმეფობა, კულტურული, სარწმუნოებრივი და ფსიქოლოგიური ერთიანობა“.[23] მომდევნო საუკუნეებში ეროვნული ერთობისაკენ სწრაფვას ხელს უშლიდნენ გარეშე და შინაური მტრები. XIX საუკუნის ბოლოდან ეროვნული ერთობის იდეას მარქსიზმი დაუპირისპირდა, რომელიც ერს წოდებებად ჰყოფდა და კლასობრივ ბრძოლას ქადაგებდა.

დარაზმულობის საპროგრამო დებულებები მიუთითებდა, რომ ფაშიზმი იყო კორპორატიულ პრინციპებზე დამყარებული ეროვნული ერთობა და განმარტებული იყო თუ როგორ ესმოდათ ეს ცნება: „ეროვნული ერთობა არის ერის ყველა ნაწილთა თანამ-

[21] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.100
[22] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.108
[23] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.101

შრომლობა ერისავე საკეთილდღეოდ“.[24] ეროვნული ერთობა ნიშნავს, რომ ყველაფერი ექვემდებარება ერის უმაღლეს ინტერესებს. ხელისუფლება არის მტკიცე, ეროვნული და ზეკლასიური. ყველა ქართველი თანასწორუფლებიანი და თანასწორმოვალეობიანია.

დარაზმულობის საპროგრამო დებულებებში აღნიშნული იყო, რომ „ქართული ფაშიზმისათვის ეროვნული ერთობის გამომხატველია ეროვნული სახელმწიფო, რომელიც ეფუძნება ოჯახს, სარწმუნოებას და ტრადიციებს“.[25]

ფაშისტური დარაზმულობა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ისახავდა ქართული ოჯახის აღდგენას. საპროგრამო დებულებების თანახმად სოციალისტურმა მოძღვრებამ და ბოლშევიკურმა რეჟიმმა დიდი ზიანი მიაყენა ქართულ ოჯახს. „ბოლშევიზმმა დაამხო ეს ოჯახი, ძირიანად ამოაგდო იგი და მისი წევრები უპასუხისმგებლო გახადა საზოგადოებისა და ერის წინაშე“. არადა ოჯახს ერისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის არის „დამცველი ზნისა და ჩვეულებისა; შემნახველი გარდმოცემათა და ისტორიისა; გამგრძელებელი ეროვნული სულისა და ტრადიციებისა; ბურჯი ერისა და წარმომშობი მომავალ თაობათა, რომელიც ერს თავისი არსებით აცოცხლებს და უკვდავად ჰხდის“.[26]

ტრადიციული ოჯახის აღდგენა ხელს შეუწყობდა ქართველი ერის გამრავლებასაც და ამისათვის მიღებული უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული ზომები.

ფაშისტური დარაზმულობა უმნიშვნელოვანეს საპროგრამო ამოცანად მიიჩნევდა სარწმუნოების აღდგენას და დაცვას. ქრისტიანობას ქართველთა ეროვნულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქცა და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად“. ქართულ მართ-

[24] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.102
[25] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.102
[26] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.108

ლმადიდებლურ ეკლესიას დიდი ზიანი მიაყენა მეფის რუსეთის პოლიტიკამ, მარქსიზმმა და ბოლშევიკურმა რეჟიმმა. საქართველოს განთავისუფლების შემდეგ მართლმადიდებლური ეკლესია უნდა აღდგენილიყო და შეესრულებინა „თანამედროვე პირობებთან შეფარდებით ის კულტურული როლი, რომელსაც იგი საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ისტორიაში ეწეოდა“.[27]

ქართული მართლმადიდებლობის დაცვასთან ერთად, დარაზმულობა აღიარებდა სხვა სარწმუნოებათა თავისუფლებას, ოღონდ შეგუებული უნდა ყოფილიყო „ქართულ ეროვნულ სახელმწიფო ინტერესებთან“.[28]

როგორ ესახებოდათ ქართული ფაშისტური სამეფო

ქართული ფაშისტური დარაზმულობის საპროგრამო დებულებების თანახმად საქართველოს განთავისუფლების შემდეგ უნდა შექმნილიყო ეროვნული სახელმწიფო – საქართველოს ფაშისტური სამეფო. „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო, - და იგი მოჰკლა რუსეთმა. ჩვენი დღევანდელი ვალია მის აღდგენაზე და აღდგომაზე ვიზრუნოთ“, - აღნიშნავდა ვ. ნოზაძე.[29] დარაზმულობა განმარტავდა, რომ სამეფოს აღდგენაში არ იგულისხმებოდა უბრალო რესტავრაცია. ბევრი რამ უკვე დრომოჭმული და სამუდამოდ ისტორიას ჩაბარებული იყო. ვიკ. ნოზაძის თქმით „საქართველოს ახალ სამეფოს“ სჭირდებოდა „ახალი შინაარსი, ახალი წყობა ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ დარგში“.[30] ეს უნდა ყოფილიყო „საქართველოს ფაშისტური სამეფო“. მომავალ სამეფოში ყველას თანასწორი უფლება და თანასწორი მოვალეობა უნდა ჰქონოდა. შესაბამისად „ამ დებულებაზე აგებული ქართული

[27] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.109
[28] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.109
[29] ვიკ. ნოზაძე. ჩვენს დებულებათა გამო - „ქართლოსი“, 1937, N 1, გვ.2-3
[30] ვიკ. ნოზაძე. ჩვენს დებულებათა გამო - „ქართლოსი“, 1937, N 1, გვ.3

სამეფო არ შეიძლება იყოს წოდებრივი და პრივილეგიების ქვეყანა“.[31]

აყენებდნებდნენ რა საქართველოში სამეფოს შექმნის საკითხს, დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოში სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიას, იმის ჩვენებას, რომ სამეფოს იდეა საქართველოში არასოდეს არ მომკვდარა. „მას მაგრად აქვს ფესვები გამჯდარი ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში და ჩვენს მისწრაფებაში, და ლტოლვას რეალი ნიადაგი აქვს“.[32] ამ საკითხს ეძღვნებოდა ვიქტორ ნოზაძის სტატია „ბრძოლა საქართველოს სამეფოსათვის“.

მეფე

მეფე “ერის უზენაეს გამომხატველად” მოიაზრებოდა. მეფე არის „საქართველოს უზენაესი სახე, ერის წარმომადგენელი, დამცველი და მფარველი მისი კეთილდღეობისა... ერის საჭიროებათა და მისწრაფებათა გამომთქმელი“, „მეფე არის უმაღლესი დარაჯი კანონიერებისა“.[33]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფაშისტურ დარაზმულობას საქართველოს მეფედ წარმოდგენილი ჰყავდათ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონის ვაჟი - ირაკლი ბაგრატიონი, რომელიც უფრო მოგვიანებით, 1946 წელს, ემიგრაციაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაურად გამოაცხადეს. მაგრამ ამის შესახებ ქართულ ფაშისტურ დარაზმულობას პირდაპირ არაფერი აქვს ნათქვამი. უფრო მეტიც, „ქართლოსის“ ერთ-ერთი პუბლიკაციის თანახმად, საკითხი მომავალი მეფის თაობაზე ღიად იყო დატოვებული. ნ. დადიანი აღნიშნავდა: „მეთაურს ერი უნდა იც-

[31] ვიკ. ნოზაძე. კვლავ ჩვენს დებულებათა გამო - „ქართლოსი“, 1937, N 2-3. გვ.4.

[32] ვ. ნოზაძე. ბრძოლა საქართველოს სამეფოსათვის - „ქართლოსი“, 1939, N 16-18, გვ.24

[33] ნ. დადიანი. ვინ იქნება საქართველოს მეფე? – „ქართლოსი“, 1937, N 6-7, გვ.84

ნობდეს, დამსახურებისათვის და მისთვის ბრძოლისათვის პატივს უნდა სცემდეს, უყვარდეს და თუ კარგად გაიცნო და შეიყვარა ერმა ის თვალსაჩინო პიროვნება, ის მას დაუჯერებს, ენდობა და გაჰ-ყვება“.[34] ნ. დადიანის განცხადებით, მეფე იქნებოდა ის, ვინც თავისი „მეფური თვისებებით და ღირსებებით, ერს აღმოათქმევინებს გულის სიღრმიდან, გულწრფელად: - გაუმარჯოს ჩვენს მეფესო! - აი ის იქნება მომავალი მეფე საქართველოისა“.[35]

დარბაზი

ეროვნული მთავრობა დაეყრდნობოდა დარბაზს, რომელშიც განსახიერებული უნდა ყოფილიყო მთელი ერის ინტერესები. ეს იქნებოდა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შეიქმნებოდა კორპორატივიზმის საფუძველზე – ეკონომიკურ და კულტურულ დარგთა წარმომადგენლებისაგან. ქართული ფაშისტური დარაზმულობის საპროგრამო დებულების თანახმად “სოფლისა და ქალაქის მუშა, მრეწველი და ვაჭარი, კალმით მოღვაწე, ხელოვანი, ხელოსანი, მოხელე, მოსამსახურე, ყველა სათანადო ამქარში, თემ-ერობაში შეკავშირებული წარგზავნის თავის წარმომადგენელს დარბაზში და ამით თვით ერი დაჯდება ქვეყნის მომვლელად. ამიტომ იქნება საქართველო შრომის სამეფო”.

მომავალი დარბაზი იქნებოდა ახალი სახის პარლამენტი. ქართული ფაშისტური დარაზმულობა არსებულ პარლამენტებს - „თანამედროვე პარლამენტი არის პარტიათა და მათ ხელმძღვანელთა ხრიკოსნობის ასპარეზი, სადაც ბატონობს არა ხალხის ნება, არამედ გამოცვეთილ პოლიტიკოსთა ინტერესები; ძველებური და ახლან-

[34] ნ. დადიანი. ვინ იქნება საქართველოს მეფე? – „ქართლოსი“, 1937, N 6-7, გვ.84

[35] ნ. დადიანი. ვინ იქნება საქართველოს მეფე? – „ქართლოსი“, 1937, N 6-7, გვ.85

დელი პარლამენტი წარმოადგენს ხალხის მოტყუების, მისი თვალისახვევის და გათამაშების იარაღს“[36]

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხები

ქართული ფაშისტური დარაზმულობა ქართველი ერის უმთავრეს სიმდიდრედ მიწას მიიჩნევდა. საქართველოს ეკონომიკის უმთავრესი დარგიც სოფლის მეურნეობა იყო, სადაც დასაქმებული იყო გლეხობა, რომელიც თავის მხრივ ქართველი ერის უმრავლესობას წარმოადგენდა.[37]

ბოლშევიკურმა კოლექტივიზაციამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქართულ სოფელს. ამიტომ აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის და გლეხობის აღორძინება. ამის საფუძვლად მიჩნეული იყო მიწაზე კერძო საკუთრების აღდგენა. სამეურნეო მიწის ფლობა და შეძენა უნდა შეძლებოდა მხოლოდ მას, ვინც მას დაამუშავებდა. საპროგრამო დებულებათა თანახმად, სახელმწიფოს უფლება ექნებოდა „სათანადო ფასის გადახდით“ ჩამოერთმია მიწა იმათთვის, „ვინც არ არის ქართველი ან აფხაზი, ჩამოერთვას მათ, ვინც მიწას არ დაამუშავებს და ამგვარად ერის წინაშე მოვალეობას არ აღასრულებს“.[38]

ფაშისტური დარაზმულობა მიზნად ისახავდა საქართველოს საზღვრების გაქართულებასაც. „ამიტომ საქართველოს საზღვრების გასწვრივ უნდა მოხდეს ქართველი მშრომელების ჩასახლება და ამ საზღვრების მიყოლებითი სივრცის ქართული ელემენტებით ავსება და განმტკიცება“.[39]

ფაშისტური დარაზმულობის საპროგრამო დებულებებში ყურადღება ეთმობოდა მრეწველობის განვითარების საკითხებს. ბოლ-

[36] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.107
[37] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.103
[38] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.104
[39] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.104

შევიკური ნაციონალიზაციის შედეგად მოისპო საქართველოში არსებული სამრეწველო დარგი. მათ მიერ წამოწყებული ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა კი ადგილობრივი ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა და მიზნად ისახავდა პროლეტარიატის ხელოვნურად გაზრდას, უპირატესად „უცხო მხარეთაგან მოსული მუშების“ ხარჯზე.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უნდა შეწყვეტილიყო ხელოვნური ინდუსტრიალიზაცია. საქართველო ვერ შეინარჩუნებდა მრეწველობის იმ დარგებს, „რომელთა ნედლი მასალა თვით ჩვენს ქვეყანაში არ მოიპოვება“.[40] ქალაქად ასევე აღდგებოდა კერძო საკუთრებად, მაგრამ ბევრ სამრეწველო დაწესებულებას მეპატრონე არ აღმოაჩნდებოდა და „საბჭოთა სამრეწველო მეურნეობა“ დარჩებოდა სახელმწიფოს ხელში, რომელიც მას წარმართავდა „სარგებლიანობის თვალსაზრისით“.[41]

საქართველოში აღდგებოდა კერძო საკუთრება, მაგრამ „არა ქართველთ და არა აფხაზთ“ აეკრძალებოდათ „საქართველოში კერძო საკუთრების შეძენა, თუ ასეთი აქტი სახელმწიფოებთან დადებული ურთიერთხელშეკრულებით არ იქმნა ნებადართული“.[42]

აუცილებლად იყო მიჩნეული მთელი ეკონომიკური ცხოვრების „ახალ ეროვნულ კალაპოტში ჩაგდება“, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა რუსეთის ბაზრისთვის იყო მოწყობილი.

ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა: “ჩვენ ვქადაგებთ საქართველოს ფაშისტურ სამეფოს და ღრმადა გვჯერა. რომ ესაა ხსნა ჩვენი ერისათვის... ვქადაგებთ საქართველოს სამეფოს აღდგენას, რადგან მხოლოდ სამეფოს ფაშისტურ პირობებში, გვრწამს, შეიძლება დიდი და დიადი საქართველოს შექმნა! და რომელი ქართველია,. არ სურდეს

[40] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.105
[41] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.105
[42] დებულებანი, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, - იქვე, გვ.106

დიდი და დიადი საქართველო? არ სწადდეს ქართველი ხალხის ბედნიერება, რაც შესაძლებელია მხოლოდ შრომის სამეფოს დაარსებით?!”[43]

დასკვნა

ქართული ფაშისტური დარაზმულობა, როგორც ორგანიზაცია დაახლოებით სამი წლის განმავლობაში არსებობდა. მისი საქმიანობა იყო ქართველ პატრიოტთა ჯგუფის მცდელობა ეპოვნა საქართველოს განთავისუფლების კონკრეტული გზა. მათ სცადეს ეს გზა ეპოვნათ ფაშიზმის საფუძველზე, რომელიც 1930-იანი წლების მეორე ნახევარში წარმატებულ იდეოლოგიად და პოლიტიკურ პროგრამად ჩანდა.

ქართული ფაშისტური დარაზმულობა თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში იყო მხოლოდ თეორიული მიმდინარეობა, რომელსაც როგორც ორგანიზაციას არ უთანამშრომლია არც იტალიელ ფაშისტებთან და არც გერმანელ ნაცისტებთან. ორგანიზაციის დაშლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს მისი ცალკეული წევრები პიროვნულ დონეზე თანამშრომლობდნენ ფაშისტურ რეჟიმებთან.

ფაშისტური რეჟიმების დანაშაულებრივმა საქმიანობამ მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის როგორც იდეოლოგიის დისკრედიტაცია და დაგმობა გამოიწვია. შესაბამისად, ქართული ინტეგრარული ნაციონალიზმის ამ ფორმის შექმნა მხოლოდ ნაციონალიზმის დისკრედიტაციას იწვევდა.

ადამიანები, რომლებიც ქართულ ფაშისტურ დარაზმულობაში შედიოდნენ საქართველოს პატრიოტები და ცნობილი საზოგადო

[43] ვიკ. ნოზაძე. კვლავ ჩვენს დებულებათა გამო – “ქართლოსი”, 1937 # 2-3, გვ.4-5

მოღვაწეები იყვნენ, რომელთაც ბევრი რამ აქვთ გაკეთებული ჩვენი ქვეყნისთვის.

ლიტერატურა

დადიანი ნიკ. ვინ იქნება საქართველოს მეფე - „ქართლოსი“, 1937, N 6-7, გვ.34-35

დაუშვილი რუსუდან. ქართული ფაშისტური დარაზმულობა – “მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას” (მესამე სამეცნიერო კონფერენცია). თბილისი, “ლომისი”, 1999, გვ.138-146;

დაუშვილი რუსუდან. ქართული ეროვნული დარაზმულობები – წიგნში: რუსუდან დაუშვილი. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში. თბილისი, რაეო, 2007, გვ. 109-124

მაღლაკელიძე შ. ქართლოსი – “ქართლოსი”, 1937 N 1

მაღლაკელიძე შ. კავკასიის ერების ერთობის საკითხისათვის - „ქართლოსი“, 1939 N 16-18, გვ.234

მაღლაკელიძე შ. მოგონებები. თბ., 2012

მურუსიძე შორენა. საქართველოს მონარქო-ფაშისტური დარაზმულობა (1937-1939 წ.წ.) - მეისტორიე. სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი პროფ. გელა (გიორგი) საითიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბ., „არტანუჯი“, 2019, გვ.218-223

ნიკოლეიშვილი ოთარ. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა – ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია – წიგნში: ოთარ ნიკოლეიშვილი. ნარკვევები მსოფლიოს ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქუთაისი. ქუთაისის უნ-ტის გამ-ბა, 2005, გვ.41-53;

ნიკოლეიშვილი ოთარ. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა – ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია – საქართველოს უნივერსიტეტის მე-2 ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010, გვ.. 327-339.

ნოზაძე ვიკ. ჩვენს დებულებათა გამო – “ქართლოსი”, 1937, N 1, გვ.2-3

ნოზაძე ვიკ. კვლავ ჩვენს დებულებათა გამო – “ქართლოსი”, 1937 N 2-3, გვ.4-5

ნოზაძე ვიკ. ილია ჭავჭავაძე – "ქართლოსი", 1937, # 8, გვ.106-107

ნოზაძე ვიკ. ჟურნალი „კავკაზი" და კავკასია-საქართველო - „ქართლოსი", 1938, N 9-10, გვ.125-126

რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის - „ქართლოსი", 1938, N 9-10, გვ. 127

სალია კ. მეოცე საუკუნის იდეური მიმართულებანი: 1.ეროვ-ნული იდეალი – "ქართლოსი", 1937, N 2-3, გვ.7-9

სალია კ. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა - „ქარ-თლოსი", 1937, N1, გვ.4

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა. დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის - შარაძე გურამ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტომი VIII, თბ., 2005, გვ.98-111

შარაძე გურამ. ჟურნალი "ქართლოსი" – ქართული ემიგრან-ტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.VIII, თბილისი, 2005, გვ.6-397

Malkhaz Matsaberidze

From the History of the Georgian Integral Nationalism ("The Fascist Movement of Georgia")

Abstract

The paper analyzes the ideology of the political union "Fascist Movement of Georgia," which existed among the emigrant communities of Georgia, through reflecting the publications and party program appearing in the journal "Khartlosi" in 1937-1939. This ideology could be considered as a kind of integral nationalism. The group of the Georgian emigrants (Sh.Maglakelidze, V.Nozadze, K.Salia, N.Dadiani, etc) tried to find a concrete way for the liberation of Georgia on the basis of the fascism, which was considered as a successful ideology and party program by them in the second half of the 1930s. They argued that the Georgian

version of the fascism will unite the nation, oppose the communist regime and with the support of the fascist states will bring freedom to Georgia.

During its 3 years-long existence, the "Fascist Movement of Georgia" remained as the theoretical union and it had never cooperated neither with Italian fascists, nor with the German Nazists. In 1939, after the signature of the Molotov–Ribbentrop Pact, the publication of the journal "Kartlosi" was stopped and the "Fascist Movement of Georgia" was dissolved.

The failure of the fascist regimes and the belie of their criminal activities contributed to the discreditation and decry of the fascist ideology. Correspondingly, this form of the Georgian integral nationalism was not further developed. Those persons, which were united in the "Fascist Movement of Georgia" were the patriots and famous public figures of Georgia.

Key words: Georgia; Georgian Emigration; Integral Nationalism; Fascism; Fascist Movement of Georgia;